დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N6

23.05.2019 წელი ქ.დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2019 წლის 23 მაისს 14 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე; სოფიო ასლამაზაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები;

1; სოფიო ასლამაზაშვილი

2 ; რამიზ რამაზანოვი;

3; ემილ იბრაგიმოვი;

4. აფთანდილ მუსაევი;

5. დავით მენაბდიშვილი;

კომისისის სხდომას ესწრება კომისიის 5 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N51 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი; სოფიო ასლამაზაშვილი

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. მოისმინეს;

სოფიო ასლამაზაშვილი - 1. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N51 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის N1124 განკარგულებით „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #554 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 385580 ლარი. ქ.დმანისში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპიური შენობა #3-ის მშენებლობისათვის, რაც შესაბამისად ასახული იქნა გადასახდელების ორგანიზაციულ კოდში 030202 „ბინათმშენებლობის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში, ხოლო საქართველოს 2019 წლის 27 თებერვლის #120 დადგენილებით „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული 182000 ლარი შემცირებული იქნეს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 აპრილის #7 დადგენილებაში ასახული თანხა, როგორც შემოსულობების ასევე გადასახდელების ნაწილში საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემამდე.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 18 648,3 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: აფთანდილ მუსაევმა, დავით მენაბდიშვილმა, განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

1. **დაადგინეს** ;

წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე; სოფიო ასლამაზაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი